

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N8

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

27.05.2020 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა მაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტყარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: რამაზ არველაძე, თამარ შენგელია, ბიჭიკო პაიკიძე, გელა ღვიტიძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **მიხეილ სვანაძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - **ზაზა ოჩხიკიძე**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს დია სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020-2023)“-ის დამტკიცების შესახებ.“

მომხსენებელი: ზაზა ოჩხიკიძე

3. ვანის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მიხეილ სვანაძე

4. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 9 კვმ ფართის სსიპ „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია“-სთვის (ს/კ 203851509) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე,

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

5. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების სარგებლობის ფორმის, სარგებლობის ვადის და წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -29

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული იქნა ამ დადგენილებაზე შენიშვნები. კერძოდ: სოფლის რწმუნებულები გადაიყვანეს ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად, ამასთან დაკავშირებით რწმუნებულებს მიწის რეგისტრაციისას შეეზღუდათ უფლებები და შესაბამისი პუნქტები ამოღებული იქნა დებულებიდან.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – 3 (გია ოჩხიკიძე, კობა ძაგნიძე, აპოლონ რამიშვილი)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(დადგენილება N 16)

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ზაზა ოჩხიკიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020-2023)“-ის დამტკიცების შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა: ვანის მუნიციპალიტეტის საშუალო ვადიანი განვითარების დოკუმენტი მომზადებულია პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარება“ გაეროს განვითარების

პროგრამის (UNDP) პროექტების „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში(FRLD 2“ და დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე (DGG)“ ფარგლებში კონტაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG)მონაწილეობით, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით. ამ დოკუმენტში შედის მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 29

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020-2023)“-ის დამტკიცების შესახებ.“

(დადგენილება N17)

მოისმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახალხო დაცველის რეკომენდაციით შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო, მოვამზადეთ ამ საბჭოს სამუშაო დებულება და წარმოგიდგინებ დასამტკიცებლად.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 29

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.“

(დადგენილება N18)

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიდ კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 9 კვმ ფართის სსიპ „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია“-სთვის

(ს/კ 203851509) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე,

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ვანის საოლქო საარჩევნო“ კომისია ესაჭიროება ერთი ოთახი საწყობის სახით და მივიღეთ გადაწყვეტილება აღნიშნული ფართი გადაეცეს სარგებლობისთვის.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 29

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 9 კვმ ფართის სსიპ „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია“-სთვის (ს/კ 203851509) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე,

(განკარგულება N 27 10)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების სარგებლობის ფორმის, სარგებლობის ვადის და წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს არის ქ. ვანის მესამე საბავშვო ბაღის შენობა და მერიამ მიიღო გადაწყვეტილება ეს ფართი მასზე დამაგრებული შენობა -ნაგებობით შეტანილი იქნეს საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – 3 (გია ოჩხიკიძე, კობა ძაგნიძე, აპოლონ რამიშვილი)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე